მარტი 2016

NEWSLETTER

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

კამპანია ,,ეს შენ გეხება''

19 მარტს კამპანია ,,ეს შენ გეხება''-ს მონაწილე ორგანიზაციებმა აქცია გამართეს ისინი აპროტესტებდნენ ვიდეოკადრების გავრცელებას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) კამპანია ''ეს შენ გეხება''-ს აქტიური წევრია. ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ შეიქმნება ფარული მიყურადებისა და თვალთვალის დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმი და გაიზრდება სასამართლოსა და სხვა პასუხისმგებელი ორგანოების უფლებამოსილებები.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ე. წ ოდეერების საქმიანობის მონიტორინგს მნიშვნელოვნად გაართულებს

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ე.წ ოდეერების საქმეს ეხმიანება. მნიშვნელოვანია ცვლილება, რომელიც 2015 წლის 27 ოქტომბერს დათქმის სახით დაემატა არსებულ კანონმდებლობას. აღნიშნულის მიხედვით, იმ თანამდებობების პირთა დეკლარაციები, რომელთა თანამდებობას ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად საიდუმლოების გრიფი აქვს მინიჭებული საჯაროდ ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს.

IDFI-მ და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ პირველი სამუშაო შეხვედრა გამართეს

25 მარტს, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) პროექტ „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტების განვითარება"-ს ფარგლებში სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გამართეს. პროექტი ხორციელდება შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით მიმდინარე „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა" (Good Governance Initiative in Georgia) პროგრამის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს სამინისტროში კარგი მმართველობის პრინციპების გაუმჯობესებას და ანგარიშვალდებულების, საჯარო ეთიკის და კორუფციის პრევენციისთვის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებას.

პროექტის კოორდინატორმა საბა ბუაძემ სამინისტროს დეპარტამენტისა და სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელებს წარუდგინა პროექტით გათვალისწინებული მიზნები, აქტივობები და მათი განხორციელების გეგმა.

მმართველობის ხარისხის გამოკითხვა- საქართველოს ბუროკრატიის შეფასება 2014 წელს

გოტენბურგის უნივერსიტეტის მმართველობის ხარისხი ინსტიტუტმა 2015 წელს გამოაქვეყნა. ანგარიშში შეფასებულია ბიუროკრატია მსოფლიოს 159 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში 2014 წლის მონაცემებით. 7 ქართველ ექსპერტს შორის, რომელნიც ჩართული იყვნენ კვლევის მსვლელობაში ერთ-ერთი ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე- ლევან ავალიშვილი იყო.

გამოკითხვის მიხედვით საქართველოში ყველაზე პრობლემურ მიმართულებად საჯარო მოხელეების თანამდებობებზე დანიშვნის პრაქტიკა იკვეთება. შესაბამისად, საჯარო სამსახურის პროფესიონალიზმის დონე საგრძნობლად ჩამორჩება ისეთი ქვეყნების მაჩვენებლებს, როგორიცაა ესტონეთი, ლიტვა, შვედეთი და გერმანია.

გოტენბურგის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ საქართველოს საჯარო სამსახურის პრაქტიკაში გარკვეული ხარვეზებია, რაც სისტემურ მიდგომას საჭიროებს. საქართველოს მთავრობამ უკვე დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც მოიცავს საჯარო ფინანსების, ადამიანური რესურსების მართვის და პოლიტიკის დაგეგმვის სფეროებს.

არასამთავრობო ორგანიზაციები მიმართავენ საქართველოს მთავრობას თსუ-ში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით

ხელმომწერი ორგანიზაციები ეხმიანებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს უნივერსიტეტის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების ეფექტური ზომების მიღებისა და შეკრების თავისუფლების განუხრელი დაცვისკენ მოუწოდებენ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ხელს აწერს აღნიშნულ მიმართვას.

IDFI-ის ანგარიში საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - IDFI 2012 წლის დეკემბრიდან ჩართულია საქართველოს ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერის და ადვოკატირების პროცესში. აქტივობებს ახორციელებს პროექტის „ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“ ფარგლებში ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა IDFI-იმ 2016 წლის დასაწყისში დაასრულა. სხვადასხვა ორგანიზაციების და პროცესზე პასუხისმგებელი უწყებების შეფასებით, წარმატებული და დემოკრატიულ ღირებულებებზე მორგებული მოდელის დანერგვის საქმეში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წვლილი საკმაოდ დიდია. მიუხედავად რიგი საკითხების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ყურადღებისა, მთლიანობაში ეს პროცესი წარმატებულად და მედია ბაზრის მთავარი მოქმედი პირების - მაუწყებლების და მომხმარებლების ინტერესების შესაბამისად წარიმართა.

მიუხედავად ეროვნული დაფარვის მულტიპლექსების მუშაობისას გარკვეული მცირედი ხარვეზების და რეგიონული მულტილპექს პლატფორმების წინაშე არსებული ბიზნეს მდგრადობის პრობლემებისა, მთლიანობაში, დღეის მდგომარეობით, ციფრულისაეთერო მაუწყებლობის სისტემაში საქართველოში სახეზე გვაქვს 17 მცირე რეგიონული, 2 კერძო ეროვნული დაფარვის და ერთი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ეროვნული ციფრული ქსელი, რაც ერთ კონკრეტულ დასახლებულ წერტილში, მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 60 არხის მაყურებლისთვის უფასოდ ყურების შესაძლებლობას იძლევა მაშინ, როცა ანალოგური სისტემის შემთხვევაში ერთ ლოკალურ ტერიტორიაზე უფასოდ მხოლოდ 10-მდე არხის მიღება ხერხდებოდა და ისიც ხშირ შემთხვევაში ძალიან ცუდი ხარისხით.

IDFI-ს ღია წერილი საქართველოს პრემიერ მინისტრს

2016 წლის, 29 მარტს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ღია წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს. აღნიშნულ წერილში IDFI-ს დირექტორი სთხოვს საქართველოს პრემიერს, რომ პირადად დაინტერესდეს თუ რატომ არ ხდება საქართველოს მთავრობის მიერ აღებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ვალდებულებების ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 2 უმნიშვნელოვანესი აქტივობის შესრულება. IDFI ასევე სთხოვს ქვეყნის პრემიერს, პირადად მიაქციოს ყურადღება, რომ მათი განხორციელება მოხდეს უმოკლეს ვადებში. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე ვალდებულება IDFI-ის რეკომენდაციით მიიღო საქართველოს მთავრობამ OGP-ის

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად გიორგი კლდიაშვილი აირჩიეს

2016 წლის 29 თებერვალს ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-7 საერთო კრება. კრების მიზანი იყო პლატფორმის ერთწლიანი საქმიანობის შეჯამება და პლატფორმის თავმჯდომარის და სამუშაო ჯგუფების კოორდინატორების არჩევა. კრებას ესწრებოდა 86 წევრი ორგანიზაციის 130 წარმომადგენელი.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქმიანობა მოიცავს აღმოსავლეთის პარტნიორობის ოთხ თემატურ პლატფორმას და, შესაბამისად, ოთხ სამუშაო ჯგუფს:

1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა;
3. გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება;
4. ხალხთაშორისი კავშირების წახალისება.

პლატფორმის I სამუშაო ჯგუფის (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა) კოორდინატორის კონკურსში 4 კანდიდატთან ერთად მონაწილეობდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი გიორგი კლდიაშვილი. კოორდინატორების არჩევნებში მონაწილეობა 84 ორგანიზაციამ მიიღო. I სამუშაო ჯგუფისკოორდინატორის თანამდებობაზე ხმები თანაბრად გადანაწილდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს შორის.

საქართველოს პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს დებულება

2015 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის #195/3 ბრძანებით შეიქმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია საპარლამენტო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 12 თებერვლის ბრძანებით კი, დამტკიცდა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს დებულება.

სხვა აქტივობები:

მმართველობის მონაცემთა ალიანსი – საქართველოს 2015 წლის მდგომარეობის შეჯამება
მედიაკონფერენცია 2016
კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში - ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მოკლე შეფასება
შეფასების დამოუკიდებელმა მექანიზმმა საქართველოს OGP-ის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში გამოაქვეყნა
განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონებში დაგეგმილ ცვლილებებზე
საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართვა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტს

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research